# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 20 აგვისტო 2005 №190 (2513) ფასი 50 თეთრი




## პალანგა ლანგარზე

ქართველი 17-წლამდელები ლიტვაში დაბანაკდნენ

4



## ვის დარჩება იტალიის სუპერთასი?

დღეს სუპერმატჩია

6




## არ ვარ მე ის კაცი!

მიკაელ ესიენი ჩელსის მეხუთე ნომერია

9

# პორტსმუთი ზურაბ ხიზანიშვილის ახალი ნავსადგური



ლაშა კუპრაშვილის ფოტო

# გაიბადრება დინამო?

## მთავარია პატარკაციშვილმა სიტყვა გატეხოს

ერთობ უჩვეულო და ამავდროულად ძალიან ცუდი თავისებურება ახასიათებს ქართულ კალათბურთს, უფრო სწორად კი ეროვნულ ჩემპიონატს. დამოუკიდებელ საქართველოში აქამდე 14 ჩემპიონატი გამართულა, რომლებიც ოთხ გუნდს მოუგია, თუმცა აქ იმაზე კი არ ვაპირებთ საუბარს, რომელ კლუბს რამდენჯერ უჩემპიონია, არამედ სამწუხარო ფაქტს აღვნიშნავთ — ამ ოთხი გუნდიდან დღესდღეობით ალარც ერთი არ არსებობს.

მე-13 გვერდი



ლაშა კუპრაშვილის ფოტო

# პორტსმუთი

## ზურაბ ხიზანიშვილის ახალი ნავსადგური



*მომავალ უქმეებზე ზურაბ ხიზანიშვილი უკვე ინგლისურ პრემიერლიგაში ითამაშებს!*

*შოტლანდიური „რეინჯერსის“ ქართველი მცველი ინგლისურ „პორტსმუთთან“ კონტრაქტს სამშაბათს ან ოთხშაბათს გააფორმებს და სათამაშოდ იქვე დარჩება. „პორტსმუთმა“ და „რეინჯერსმა“ ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერის თაობაზე უკვე მოილაპარაკეს, ახლა კი ფორმალური მხარეღა დარჩა — ზურა ინგლისში უნდა ჩავიდეს და კონტრაქტი გააფორმოს. რა ფორმის იქნება კონტრაქტი, ეს უკვე თავად ზურამ გვითხრა, რომელსაც გლაზგოში გუშინ დავუკავშირდით...*

— „რეინჯერსი“ და „პორტსმუთი“ ჩემი ტრანსფერის თაობაზე უკვე შეთანხმდნენ. ახლა უკვე ინგლისელებთან პირადად მაქვს სალაპარაკო, სამშაბათს ან ოთხშაბათს „პორტსმუთის“ ხელმძღვანელობას შევხვდები.

**— სალაპარაკო რა გაქვს?**

— ბევრიც არაფერი. ინგლისელებმა ჩემი მოთხოვნები კარგად იციან და ისინი ყველაფერზე თანახმანი არიან. ანაზღაურებაზე სალაპარაკო არაფერი გვექნება, მთავარი სხვაა...

**— გვეტყვი, რა არის მთავარი?**

— მთავარი კონტრაქტია. ჩემი და „რეინჯერსის“ სურვილია, რომ „პორტსმუთში“ განათხოვრებით ვითამაშო. სწორედ ამის თაობაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

**— განათხოვრებით, ანუ...**

— მსურს, ეს სეზონი „პორტსმუთში“ ვითამაშო, მერე კი „რეინჯერსს“ დავუბრუნდე.

**— ესე იგი, ისევ „რეინჯერსის“ ფეხბურთელი იქნები...**

— ასე გამოდის. როგორც გითხარი, „პორტსმუთმა“ და „რეინჯერსმა“ ტრანსფერის ასეთ ფორმაზე უკვე მოილაპარაკეს, მაგრამ მე დეტალებსაც დავაზუსტებ.

**— და შესაძლოა, ინგლისში მომავალ ტურშივე ითამაშო?**

— რა თქმა უნდა.

**— „რეინჯერსს“ უკვე დაემშვიდობე?**

— არა. ალმათიდან გლაზგოში ამ დილით ჩამოვედი და საღამოს უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშე.

**— ალმათის ხსენებაზე ესეც უნდა გკითხო: ყაზახეთთან მატჩისას ჩანდა, რომ საუკეთესო ფორმაში არ ხარ...**

— გეთანხმები. ექვსი თვე არ მითამაშია და, ცოტა არ იყოს, ბურთთან გაუცხოებული ვარ.

**— ზედმეტი წონა ხომ არ გაწუხებს?**

— როცა არ თამაშობ, წონაშიც იმატებ, მაგრამ ერთი-ორი კილოგრამი პრობლემა არ არის.

**— ხვალ შოტლანდიის ჩემპიონატში „რეინჯერსი“ — „სელტიკა“. არც ამჯერად ითამაშებ?**

— არა, უკვე „პორტსმუთის“ გზაზე ვარ და ვერ ვითამაშებ. „რეინჯერსს“ კი წარმატებას ვუსურვებ.

**ქობა ინასარიძე**

### გერმანია

თასი
I ეტაპი

ვუპერტალი 1:2 *მიუნხენი*
ესენი 2:2დ.დ. (პენ 4:5) *კოტბუსი*
ობერჰაუზენი 1:2 *აინტრახტი*
კიოლნი (მ) 0:4 *ჰანოვერი*
მაინცი (მ) 0:3 *კარლსრუე*
კილი 0:2 *უნტერჰახინგი*
*ერფურტი* 2:1დ.დ. (1:1) აალენი
ბოხუმი (მ) 2:3 *აუე*

სამხრეთ რეგიონალლიგა
III ტური

დარმშტადტი 1:0 ფულენდორფი
ბაირუთი 1:1 შტუტგარტი (მ)

### ავსტრია

I დივიზიონი
VIII ტური

ალტახი 4:0 გრადკორნი
აუსტრია (მ) 4:1 ლეობენი
კაფენბერგი 3:1 კერნტენი
კუფშტაინი 0:0 ლინცერი
შვანენშტადტი 2:1 აუსტრია (ლ)

### საფრანგეთი

II. დივიზიონი
V ტური

სეტე 0:0 დიჟონი
რეიმსი 0:0 გენიონი
სედანი 1:0 ლორიანი
ლავალი 1:0 კაენი
გენგამი 0:1 გრენობლი
ბრესტი 1:0 შატორუ
კლერმონი 1:0 ისტრი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XIX ტური

კოოტეპე 2:2 მიუპა

### ირლანდია

პრემიერლიგა
XXII ტური

დერი 3:1 კორკი
ბრეი 2:1 ჰარპსი
დროჰედა 1:0 უოტერფორდი
შემროკი 1:0 დუბლინი
შელბურნი 2:1 ბოჰემიანი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. II ტური

ბრედა 1:0 ტილბურგი

II დივიზიონი. II ტური

აპელდორნი 0:2 ვენლო
ვეენდამი 0:0 ოსი
გრააფსხაპი 0:2 მაასტრიხტი
დენ ბოსხი 1:0 ჰელმონდი
დორდრეხტი 2:2 ზვოლე
ეინდჰოვენი 2:0 ალმორე
ექსელსიორი 3:0 ემენი
იგლსი 2:2 კამბური
ტელსტარი 2:2 სიტარდი
ვოლენდამი 5:0 ჰაარლემი

### შვეიცარია

სუპერლიგა. VI ტური

ძსამაძსი 0:2 თუნი

ჩელენჯლიგა. VI ტური

ბადენი 1:2 ლოზანა
ვოლენი 5:1 ბელინცონა

### სლოვაკეთი

I ლიგა. VI ტური

პეტრჟალკა 2:1 რუჟომბეროკი



საქართველოს ნაკრებმა ყაზახეთთან მატჩით სტატისტიკაში ჩაგვახედა

# თუ საჭიროა, შემო-იტრიალოს!

**2005 წლის** 17 აგვისტო ქართული ფეხბურთის ისტორიაში ის დღეა, საქართველოს ნაკრებმა 15-წლიანი არსებობის მანძილზე პირველად რომ შეძლო თამაშის შემოტრიალება, ანუ ჩვენები ყაზახეთთან თავიდან აგებდნენ, მაგრამ მაინც მოიგეს — 2:1. ასეთი რამ კი აქამდე არასოდეს მომხდარა.

მეხსიერება მეხსიერებად და, ამ ამბის გადამოწმებისას ნაკრების სტატისტიკურ მონაცემებში ათი თამაში შეგვხვდა ისეთი, რომლებშიც საქართველოს ნაკრებმა მშრალად ვერ მოიგო, ანუ გოლი გაუშვა და ამდენად, იმ მატჩების მიმდინარეობა ჩვენთვის საინტერესო ჩანდა...

იმ ათი მატჩის ოქმსაც ქვემოთ გაგაცნობთ და თავადვე დარწმუნდებით, რომ გოლგაშვებული, მაგრამ საბოლოოდ მოგებული საქართველო მატჩის მიმდინარეობისას არასოდეს აგებდა...

**კახა შალამბერიძე**

### 17.09.92 ამხანაგური მატჩი

გურჯაანი. „დავით ყიფიანი“. 3 000 მაყურებელი

**საქართველო 6:3 აზერბაიჯანი**

1:0 ყიზილაშვილი (30), 1:1 სულეიმანოვი (42), 2:1 ყიზილაშვილი (48), 3:1 გ. დარასელია (52), 4:1 შ. არველაძე (69), 5:1 გოგიჩაიშვილი (71პ), 5:2 რზაევი (77), 6:2 გ. ჯიშკარიანი (79პ), 6:3 სულეიმანოვი (85პ)

### 26.06.94 ამხანაგური მატჩი

რიგა. „ცენტრალური“. 800 მაყურებელი

**ლატვია 1:3 საქართველო**

0:1 დ. ჯანაშია (13), 1:1 ელისეევი (60), 1:2 კაჭარავა (74), 1:3 ჯამარაული (76)

### 11.10.95 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

თბილისი. „ეროვნული“. 40 000 მაყურებელი

**საქართველო 2:1 ბულგარეთი**

1:0 შ. არველაძე (1), 2:0 ქინქლაძე (47პ), 2:1 სტოიჩკოვი (87)

### 06.02.98 მალტის საერთაშორისო ტურნირი

ლა ვალეტა. „ტა ქალი“. 3 000 მაყურებელი

**საქართველო 2:1 ლატვია**

1:0, 2:0 ჯამარაული (50, 71), 2:1 ბლეიდელისი (85პ)

### 10.02.98 მალტის საერთაშორისო ტურნირი

ლა ვალეტა. „ტა ქალი“ 2 500 მაყურებელი

**მალტა 1:3 საქართველო**

0:1 ყაველაშვილი (13), 1:1 ოვერენდი (58პ), 1:2 ჯამარაული (71), 1:3 ყაველაშვილი (74)

### 18.11.98 ამხანაგური მატჩი

თბილისი. „ეროვნული“. 28 000 მაყურებელი

**საქართველო 3:1 ესტონეთი**

1:0 აშვეთია (65), 2:0 დ. ჯანაშია (71), 3:0 აშვეთია (85), 3:1 არბეიტერი (88)

### 06.02.00 მალტის საერთაშორისო ტურნირი

ლიმასოლი. „ციკიონი“. 300 მაყურებელი

**სომხეთი 1:2 საქართველო**

0:1 ზ. ჯანაშია (7), 1:1 ხაჩატრიანი (44), 1:2 მენთეშაშვილი (55)

### 24.04.01 ამხანაგური მატჩი

თბილისი. „ეროვნული“. 10 000 მაყურებელი

**საქართველო 3:2 ისრაელი**

1:0 ქეცბაია (9), 1:1 მიზრაჰი (16), 2:1 ქეცბაია (36), 2:2 მიზრაჰი (73), 3:2 ა. არველაძე (88)

### 01.09.01 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

თბილისი. „ლოკომოტივი“. 12 000 მაყურებელი

**საქართველო 3:1 უნგრეთი**

1:0 შ. არველაძე (36), 1:1 მატიუში (43), 2:1 ჯამარაული (50), 3:1 ა. იაშვილი (64)

### 27.03.02 ამხანაგური მატჩი

თბილისი. „ლოკომოტივი“. 15 000 მაყურებელი

**საქართველო 4:1 სამხრეთ აფრიკა**

1:0 კობიაშვილი (15პ), 2:0 დემეტრაძე (32), 2:1 ბაკლი (67), 3:1 ალექსიძე (84), 4:1 დემეტრაძე (86)

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

## პირველი წრე 3 ტური



მესამე გოლი სოხუმელთა კარში

# სოხუმია, მაგრამ ჯერ უმია

თბილისი. 19 აგვისტო. 17 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 1 500)

## სოხუმი 1:3 ბორჯომი

0:1 ბურნაძე (34პ), 0:2 გაბისკირია (56), 0:3 სილაგაძე (71ს.გ.), 1:3 რუსია (79)

სოხუმი: ა. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე (ფარჯიანი 78), ზ. ჯელაძე, ლაშა სილაგაძე, გ. ჩხაიძე (ეგაძე 65), ჭყოიძე, ი. ჭანტურია, მამგორია (სეფიაშვილი 59), შ. ჩომახიძე, გადელია, რუსია
სათადარიგონი: გ. ხაჩიძე, შამუგია, მოლოდინი, ერქვანია
მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

ბორჯომი: მამალაძე, ლ. ჭელიძე, ა. ბურნაძე, ბაქრაძე, შ. ჯიქია, მესხი, რ. გეწაძე, გაბისკირია, თ. აფციაური (მიქიაშვილი 76), რ. ჯიქია (გვირჯიშვილი 69), გ. ქორიძე (ნასყიდაშვილი 77)
სათადარიგო: მამარდაშვილი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: მესხი (3), ჭანტურია (21), ჩომახიძე (31)

გაძევება: ლაბაძე (58)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

გიორგი ვაშაკიძე

გუშინ ერთხელაც გამოჩნდა, რომ გოჩა ჟორჟოლიანის გუნდი აშკარად მოუმზადებელია, „ბორჯომი“ კი პირიქით, დალაგებული, მწყობრი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და აკი დამსახურებულადაც მოიგეს სოსო ფრუიძის შეგირდებმა.

სათქმელია ისიც, რომ ფრუიძემ ოდენ 15 ფეხბურთელი იახლა თბილისში, რადგან რამდენიმე მოთამაშე ტრავმირებული ჰყავს.

პირველი გოლი ბორჯომელმა გიორგი ქორიძემ გაიტანა, მაგრამ არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ არ ჩაუთვალა, თამაშგარე იყოო.

34-ე წუთზე კი უკვე ნაღდი გოლიც გავიდა — რევაზ გეწაძემ მარცხენა ფლანგზე ჩაიქროლა, ბურთიანად საჯარიმოში შეჭრილი კი ჭყოიძემ ლასცა ბალახზე — პენალტის შესრულება მცველმა სანდრო ბურნაძემ ითავა და ანგარიშიც გახსნა, თუმცა სოხუმელთა მეკარე ავთანდილ ლაბაძეს ოდნავ რომ გამართლებოდა, თერთმეტმეტრიანს მოიგერიებდა — მან ბურთს ხელი კარგად ვერ მიარტყა. ტაიმიც ასე მორჩა.

მეორე ნახევარში კი გამოჩნდა ის, რაზეც უკვე მოგახსენეთ: ფრუიძის გუნდმა ჟორჟოლიანისა მაგრად დაჩაგრა.

ისიც კი ძნელი სათქმელია, სოხუმელები 58-ე წუთიდან 10 კაცით რომ არ დარჩენილიყვნენ, თამაშს უეჭველად გადაარჩენდნენო, რადგან მანამდე უკვე 0:2 იყო: 56-ე წუთზე „ბორჯომმა“ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, ბურთი თავისი საჯარიმოდან თორნიკე აფციაურმა გამოიტანა და დაიწყო... სანამ აფციაური საჯარიმომდე მიაღწევდა, გეწაძემ და რევაზ ჯიქიამ ფლანგებიდან შემოურბინეს, თორნიკემაც ჯიქიას უპასა, რეზომ უკან დაუბრუნა, ამან კი მარცხნიდან შევარდნილ გეწაძეს მიაწოდა, რომელმაც იური გაბისკირიას დაუგორა და 0:2.

წუთში სოხუმელ გიგა გადელიას ჰქონდა საგოლე შანსი, თუმცა მისი ნახევარბრუნში დარტყმული ზურაბ მამალაძემ იოლად გააუვნებლა.

ერთი წუთიც და „სოხუმი“ კაცნაკლული დარჩა — პირისპირ შეყრილი გიორგი ქორიძე ლაბაძემ საჯარიმოს გარეთ მოცელა: ქორიძის მომენტი, ცხადია, საგოლე იყო და არბიტრმაც ბოლო იმედის ჯარიმისთვის მეკარე მინდვრიდან დაითხოვა.

„სოხუმის“ კარში ყმაწვილი კონსტანტინე სეფიაშვილი ჩადგა, რომელიც გამოუცდელობის კვალობაზე საკმაოდ რიგიანად გაისარჯა. რომ არა სეფიაშვილი, ბორჯომელები უფრო სოლიდური სხვაობით მოიგებდნენ.

71-ე წუთზე „სოხუმის“ კარში მესამე გოლიც გავიდა — შეცვლაზე შესულმა პაატა გვირჯიშვილმა დაბალი პასი მიაწოდა გიორგი ქორიძეს, სოხუმელთა მცველმა ლაშა სილაგაძემ კი ვარდნაში ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ... ავტოგოლი გამოუვიდა.

პრესტიჟის გოლი კი მამუკა რუსიამ შეაგდო — შოთა ჩომახიძის ნაკუთხურალ ბურთს თავური აძგერა და ლამაზი გოლიც გაიტანა — 1:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ცხინვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კახეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სოხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

თბილისი. 20 აგვისტო. 17 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ამერი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ინსპექტორი: ნ. კაკულია

გორი. 20 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ტორპედო

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); დ. ხარიტონაშვილი, მ. ურუშაძე; ლ. სილაგავა (სამივე თბილისი); ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

ბათუმი. 20 აგვისტო. 17 საათი. დინამო

### ბათუმი — სიონი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ფოთი. 20 აგვისტო. 17 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — სპარტაკი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ინსპექტორი: გ. სორდია

ქუთაისი. 20 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო

### ზესტაფონი — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

თელავი. 20 აგვისტო. 17 საათი. გივი ჩოხელი

### კახეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი. 21 აგვისტო. 17 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ცხინვალი

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. ვადაჭკორია (თბილისი); ინსპექტორი: ა. მილჩენკო

საქართველოს 17 ჩემპიონატი

პირველი ლიგა პირველი წრე

## 2 ტური

**მესხეთი 2:1 მეშახტე**

**ლიახვი 0:1 ამერი 2**

**თბილისი 2 0:1 რუსთავი**

**საგარეჯო 2:1 გურია**

**მეშაქრე 0:0 გაგრა**

**ზუგდიდი 1:0 ლოკომოტივი 2**

**ვიტ ჯორჯია 2 1:3 მერანი**

**დინამო 2 7:0 მაღაროელი**

**ზესტაფონი 2 — ჩიხურა**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| საგარეჯო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მესხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მერანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| რუსთავი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 7:1 | 3 |
| გურია | 2 | 1 | 0 | 1 | 9:4 | 3 |
| ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| ლოკომოტივი 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| გაგრა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| მეშაქრე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მეშახტე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლიახვი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| თბილისი 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |
| მაღაროელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |



ლიახვი — ამერი 2 0:1. თბილისელი ბესიკ ჩიმაკაძის მკრატელას გოლამდე ცოტა დააკლდა

*კობა ჟორჟიკაშვილის ბოლოდროინდელ წარმატებებზე ყველამ იცით. მართალია, არც აზერბაიჯანი და არც ყაზახეთი მსოფლიოს არ აზანზარებენ, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჟორჟიკაშვილის თავკაცობით ორივეს მოუგო. საკამათო კი მაინც ბევრი რჩება...*

*მოკლედ, ტაბლო საჩვენო 1:0-ებს გვაჩვენებს, ტაბლოსმიღმა ამბებზე კი თავად კობა ჟორჟიკაშვილს ვესაუბრეთ...*



# ახალგაზრდული ნაკრების ტაბლოსმიღმა დინება

## კობა ჟორჟიკაშვილი: თამაშიდან თამაშამდე ვცხოვრობ

**— ყაზახეთამდე აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს მოუგეთ, თუმცა არცთუ შთამბეჭდავად. იმ თამაშთან შედარებით ალმათიში პროგრესი თუ იგრძნობოდა?**

— ულაპარაკოდ. აზერბაიჯანთან ერთი ჩვეულებრივი ტესტ-მატჩი გვქონდა, ტაქტიკური ვარიანტები გამოვცადეთ, პრობლემებიც ნათლად დავინახეთ. ყაზახეთში გაცილებით კარგად ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, პროგრესი ერთი ხელის მოსმით არ მოდის, მაგრამ უკეთესობა ჩანდა. მინდოდა, მოძრავი გუნდი მენახა და ვნახე კიდეც. გოლიც სისწრაფისა და აზროვნების ხარჯზე გავიტანეთ.

**— განსაკუთრებით რომელი რგოლი მოგეწონათ და რომელში გქონდათ ყველაზე მეტი პრობლემა?**

— ყველა ხაზი ნორმალური, გამართული იყო. გამორჩეულად ძლიერად ან სუსტად არცერთს უთამაშია.

**— ისე, ძალიან კი გაგიჭირდათ მოგების შენარჩუნება...**

— ჯერ ერთი, ყაზახეთი ხელწამოსაკრავი გუნდი არაა და მეორეც, ასეთი მსაჯების გადამკიდე, გაგვიჭირდებოდა, აბა, რა იქნებოდა. შეიძლება ითქვას, მსაჯობა აშკარად მიკერძოებული იყო. ჩვენს კარში დანიშნული პენალტი და ელბაქიძის გაძევება თითიდან გამოწოვეს. თუ გგონიათ, რომ ვაზვიადებ, ფირი ნახეთ და დარწმუნდებით. სხვათა შორის, მატჩის კომისარმაც აღიარა, არბიტრს თამაშის სადავეები ხელიდან გაექცაო. მიუხედავად ამისა, ჩემმა ყაზახმა კოლეგამ ანტონ შოხმა მატჩის მერე თქვა, ქართველებთან არანაირი შანსი არ გვქონდა, მაგრად გვაჯობესო.

**— მალე უკრაინასთან და დანიასთან მატჩები გელით. შემადგენლობაში ცვლილებებს თუ შეიტანთ?**

— წინასწარ ვერ ვიტყვი. 29 აგვისტოს ვიკრიბებით, იქამდე კი საქართველოს ჩემპიონატის თამაშებიცაა.

**— უკრაინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა რამდენიმე დღის წინ სერბ თანატოლებთან 1:4 წააგო. ალბათ, შეეცდებით, ამ თამაშის ფირი ნახოთ...**

— გარდა ამისა, უკრაინა — საქართველოს (6:0) შარშანდელი მატჩის ფირის ნახვაც მინდა.

**— ამასობაში ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსიც გაგიჩნდათ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამის მიღწევა?**

— მე თამაშიდან თამაშამდე ვცხოვრობ. წამდაუწუმ ცხრილში ყურება არაფერს გვარგებს, უკრაინასთანაც და დანიასთანაც მოსაგებად ვიბრძოლებთ. ვნახოთ, რა გამოვა.

**ილია ნანობაშვილი**

# პალანგა ლანგარზე

## ქართველი 17-წლამდელები ლიტვაში დაბანაკდნენ




ლევან მელიქია

**21 აგვისტოს** ლიტვაში პალანგის მე-12 საერთაშორისო ტურნირი იწყება, რომელშიც 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებები მონაწილეობენ. პალანგის ტურნირი ყოველწლიურია და იქ ქართველ ჭაბუკებსაც ხშირად უთამაშიათ, თუმცა ბოლო დროს ჩვენიანები პალანგაში აღარ გამოჩენილან.

ამჯერად კი „ჯებირი" გაირღვა და ლევან მელიქიას გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრები (1989 წელს დაბადებულები და უმცროსები) გუშინ ლიტვაში გაემგზავრა. პალანგის ტურნირი საკმაოდ პრესტიჟულია, თუმცა ქართველებისთვის უფრო ოქტომბერში გასამართი ევროშესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად განიხილება.

ტურნირში რვა გუნდი ითამაშებს, რომლებიც ორ ჯგუფად გაიყვნენ: A ჯგუფში ლიტვა, აზერბაიჯანი, ბელარუსი და უკრაინა მოხვდნენ, B-ში კი ლატვია, რუსეთი, პოლონეთი და საქართველო.

მატჩები ლიტვის სამ ქალაქში — პალანგაში, კრეტინგში და კლაიპედაში გაიმართება.

დებულებით ყველა ადგილი თამაშდება — ჯგუფში პირველ ადგილზე გასულები ფინალში ითამაშებენ, მეორეები მესამე-მეოთხე ადგილოსანს გაარკვევენ და ასე შემდეგ...

და კიდევ, მატჩები 80-წუთიანია.

აქვე საქართველოს ნაკრების ჯგუფური შეხვედრების კალენდარსაც გთავაზობთ:

**21 აგვისტო:**

**საქართველო — ლატვია** (ჩვენი დროით 19 საათზე)

**23 აგვისტო:**

**საქართველო — პოლონეთი** (13 საათზე)

**25 აგვისტო:**

**საქართველო — რუსეთი** (19 საათზე)

ფინალური მატჩები კი 26 აგვისტოს გაიმართება.

**ილია ნანობაშვილი**

# ამირან მუჯირი საბერძნეთში მოეწყო



**„ბათუმის"** ყოფილმა ნახევარმცველმა ამირან მუჯირმა სოფიის ცსკა-ში არცთუ ცუდად იბურთავა, ბულგარეთის ჩემპიონიც გახდა და ძირითად შემადგენლობაშიც თითქმის მუდმივად ხვდებოდა. თუმცა სოფიელი არმიელები მუჯირს მაინც შეელივნენ.

30 წლის ქართველს ახალი კლუბის მოძიება დიდად არ გასჭირვებია — მან ბერძნულ „კალითეასთან" მიაღწია შეთანხმებას და ამ სეზონსაც იქ გაატარებს. „კალითეას" მწვრთნელი ბულგარელი სტოიჩო მლადენოვია, რომელიც მუჯირს ცეესკადან კარგად იცნობს. ამირანის ახალი გუნდი საბერძნეთში მაინცდამაინც არ ქუხს — წინა სეზონში მე-9 ადგილზე გავიდა.

**ლუკა თალაკვაძე**

# პერტიამ დიტონში გადაინაცვლა

**ლატვიაში** კარგად ფეხმოკიდებულმა თამაზ პერტიამ კლუბი შეიცვალა. შეგახსენებთ, აქამდე იგი „დინაბურგში" თამაშობდა.

პერტიას ახალი გუნდი ლატვიის პირველლიგელი „დიტონია", რომელიც შარშან დაქვეითდა უმაღლესიდან და ახლა ისევ იქ დაბრუნებას ცდილობს — მესამე ადგილზეა და მეორეადგილოსანს ოდენ 2 ქულით ჩამორჩება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქეცბაიამ გაბიდაური დაიბრუნა



**კვიპროსის** „ანართოსისმა" ქართველი ნახევარმცველი გიორგი გაბიდაური დაიბრუნა.

გაბიდაური ორი წლის წინ ჩაირიცხა „ანართოსისში", იანვარში კი კვიპროსის საშუალო დონის „დიღენისში" გაანათხოვრეს. ახლა კი ფამაგუსტელთა თავკაცმა თემურ ქეცბაიამ გიორგი თავისთან გადაიყვანა.

26 წლის გაბიდაურს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სამჯერ უთამაშია და ერთი გოლიც გაუტანია. მოკლედ, „ანართოსისში" „ქართული ოთხეული აღდგა — ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, კობა წიტაიშვილი და გიორგი გაბიდაური ახლა გამალებით ემზადებიან ცლაზგოური მატჩისთვის, სადაც კვიპროსის ჩემპიონები „რეინჯერსთან" შინ წაგებული 1:2-ის შემოტრიალებას შეეცდებიან.

**ილია ნანობაშვილი**

# რუბინში არზიანი გამოჩნდა

**ყაზანის „რუბინში"** ახალი ქართველი გამოჩნდა — 17 წლის ნახევარმცველი ზურაბ არზიანი. იგი თბილისის „დინამოს" ყოფილი მცველის მალხაზ არზიანის შვილია, მაგრამ რუსეთის მოქალაქეა და „რუბინამდეც" რუსეთში, კერძოდ, რამენსკოეს „სატურნის" ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა.

არაა გამორიცხული, უმცროსი არზიანი საქართველოს რომელიმე ასაკობრივ ნაკრებშიც აიყვანონ. ყოველ შემთხვევაში, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი მისით დაინტერესდა, თუმცა ისიც თქვა, ზურაბ არზიანს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებითო.



**ილია ნანობაშვილი**

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | სიტი |
| ბლეკბერნი | : | ფულემი |
| ჩარლტონი | : | უიგანი |
| ლივერპული | : | სანდერლენდი |
| მანჩესტერი | : | ასტონ ვილა |
| ნიუკასლი | : | ვესტ ჰემი |
| ტოტენჰემი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი | : | პორტსმუთი |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | : | ევერტონი |
| ჩელსი | : | არსენალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტოტენჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბოლტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფულემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბირმინგემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ბლეკბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

## ჩელსის ათწლიანი ოცნება



ორი კვირის წინ დიდიე დროგბას დუბლით „ჩელსიმ" „არსენალს" „კომიუნითი შილდის" თასი მოუგო

**ათი წელია**, პრემიერლიგაში „ჩელსი" ამაოდ ცდილობს „არსენალის" დამარცხებას. ორი კვირის წინ ეს გუნდები „ქომიუნითი შილდისთვის" დაეჯახნენ და მაურინიომ ვეხვერს აჯობა. ჩემპიონთა ლიგის, ასოციაციისა თუ ლიგის თასის მატჩებში „ჩელსის" „არსენალისთვის" მოუგია, მაგრამ პრემიერლიგაში — ვერა. ხვალ ყოზე მაურინიუს გუნდს მორიგი შანსი ეძლევა ნავსის გასატეხად. თან ეგებ მიკაელ ესიენის ლებიუტიც შედგეს, რომლის სატრანსფერო თანხა (44 მილიონი დოლარი) ამ ზაფხულის რეკორდია.

პრემიერლიგის პირველ ტურში [illegible] გუნდს გაუჭირდა. „არსენალმა" [illegible] „უკასლთან" 81-ე წუთზე [illegible] ლეტის წყალობით დაწინაურდა [illegible] რიბან ვან პერსიმ უმალ მიაყოლა.

„ჩელსის" დებიუტანტმა „უიგანმა" [illegible] ნჯა და ერნან კრესპოს მიერ ბოლო [illegible] გატანილმა გოლმა მაურინიოს გუნდს [illegible] ქულა მოუტანა.

გასულ უქმეებზე სტუმრად „ევერტონთან" მძლეველ „მანჩესტერ იუნაიტედს" [illegible] ვემის „ასტონ ვილას" დამარცხება [illegible] გაუჭირდეს, რადგან რიუდ ვან ნის[illegible] როი და უეინ რუნი „ხავდლე" [illegible] არიან.

ჩემპიონთა თასის [illegible] ლმა" წინა ტურში გასვლაზე „ბოლტონ[illegible] სთან" მოგება ვერ შეძლო და [illegible] პირველ „ინგლისურ" მატჩში „სანდერლე[illegible] ნდთან" გამარჯვებას ელდება.

„მანჩესტერ სიტის" მეკარემ [illegible] მხა დანიისგან თიხი გოლი გაუშვა [illegible] „ბირმინგემთან" ალბათ აღარ შეეშინდება [illegible] რაიტ ფილიპსის წასვლის შემდეგ [illegible] ლთა შეტევას ეშმა მოაკლდა [illegible] ნში გუნდს გოლების გატანა გაუჭირდა [illegible]

მარტინ იოლის „ტოტენჰემი" [illegible] რტსმუთთან" ირლანდიელი ფორვარდი [illegible] ბი კინი დააკლდება, რომელმაც [illegible] სანაკრებო მატჩში ტრავმის გამო [illegible] „მამლებს" დაშავებული მეკარე [illegible] ნვი და ნახევარმცველი უეინ რუტლე[illegible] დაეხმარებიან, სამაგიეროდ, [illegible] „პორტსმუთ" ვეღარ დაეხმარება [illegible] ლებიუტი.

„ბლეკბერნი" „ფულემს" საკუთარ [illegible] ის ბელამის გარეშე დაუხვდება ტრავმი[illegible] ბულმა ბელამიმ უელსი-ინგლისის [illegible] გამოტოვა. სამაგიეროდ დის[illegible] გამო ბლეკბერნელებს შოტლანდიელი [illegible] რვარდი პოლ დიკოვიც დააკლდებათ.

„ნიუკასლის" მცველებს 39 წლის [illegible] შერინგემის ლევნა მოუწევთ, რომელიც [illegible] სეზონში „ვესტ ჰემისთვის" გოლის [illegible] ტანს. „კაჭკაჭებს" ალბათ [illegible] ლეუ არ ეყოლებათ, რადგან [illegible] შეხვედრაში დაშავდა.

„ევერტონის" დაცვაში ორი [illegible] პერ კროლდერები და გარი ნეილსონ[illegible] რაციონი არიან, ხოლო „ბოლტონის" მწვრთნელმა სემ ალარდაისმა [illegible] ლი პოლეტში ჩაკეტა თამაშის.

ვაჟა ხუციშვილი

**წინა ტურის სიმბოლური ნაკრები** 4-4-2

- დ. ბენტი — ჩარლტონი
- რუნი — მანჩესტერი
- ჯერარდი — ლივერპული
- ფრენსისი — უიგანი
- ლიუნბერგი — არსენალი
- დ. მერფი — ჩარლტონი
- დელ ორნო — ჩელსი
- ოში — მანჩესტერი
- ტერი — ჩელსი
- სტალტარი — ტოტენჰემი
- შვარცერი — მიდლსბრო

გუნდი: მანჩესტერი

მწვრთნელი: პოლ ჯიუელი

# ადლერიდან ლონდონამდე

## ფილიპმა სოლი ვერ ამოაგდო



რენე ადლერი

**მსოფლიოს** ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩინებული თამაშის წყალობით ლევერკუზენის „ბაიერის" მეკარე რენე ადლერის მსურველ კლუბთა რიგი დაუდგა. ლონდონის „არსენალი" კვლავ აგრძელებს იენს ლემანის შემცვლელის ძიებას, რადგან ურუგვაელი სებასტიან ვიერას ტრანსფერში ხელი მოეცარა და არსენ ვენგერი 20 წლის ადლერს მიადგა.

ყმაწვილმეკარის შეძენა როტერდამის „ფეიენოორდს" და ლონდონის „ჩელსისაც" სურთ, თუმც „ბაიერის" დირექტორმა მიხაელ რეშკემ დაადასტურა, რომ „არსენალმა" ლევერკუზენელებს ოფიციალური ფირმანი გაუგზავნა: „ადლერი ნიჭიერი მეკარეა და მისდამი ინტერესი დიდია. რენეს ჩვენთან კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს".

„ბაიერს" ადლერთან კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა, მაგრამ თვითონ ჯერჯერობით უარზეა. მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა ძირითადი შემადგენლობისკენ გზა არ გაუხსნა და მეკარე განაწყენებულია, რამაც ეგებ მისი წასვლა განაპირობოს.

რამდენიმე დღის წინ ფრანგულ მედიაში გაჩნდა ცნობა „არსენალიდან" სოლ კემპბელის წასვლის თაობაზე. ამ ინფორმაციის გავრცელება ფილიპ კრისტენვალს დაბრალდა, რომელიც ზაფხულში „არსენალთან" ერთად ვარჯიშობდა. მან თავი ტრავმირებული კემპბელის შემცვლელად გამოაცხადა, ლონდონელებმა კონტრაქტი შემომთავაზეს კემპბელს უშვებენო, მაგრამ „მეთოფეებმა" ამას მონაჩმახი უწოდეს.

ვაჟა ხუციშვილი



იენს ლემანმა შეიძლება ძირითადში ადგილი დაკარგოს

# იტალია

გიორგი კაკაბაძე

## სუპერთასი

## იუვენტუსი VS ინტერი

# ვის დარჩება სუპერთასი? გაირკვევა სუპერმატჩში

„გასულ სეზონში სწორ გზაზე დავდექით — ამბობს „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი — ახლა კი წინ უნდა წავიდეთ და ბევრად უკეთ ვითამაშოთ. კლუბის წინასასეზონო მზადებით ძალიან კმაყოფილი ვარ, ხოლო ახალწვეულებმა ერთიორად გაგვაძლიერეს. სუპერთასისთვის მატჩში, ცხადია, მოგებას შევეცდებით“.

რობერტო მანჩინის ამ სიტყვებიდანაც მიხვდებით, რომ მილანის“ „ინტერში“ ამაღლებული და საბრძოლო განწყობაა. ამ ზაფხულს კლუბი მართლაც საგრძნობლად გაძლიერდა და „იუვენტუსთან“ მატჩი ახლებური „ნერო ამურისთვის“ ფაქტობრივად პირველი გამოცდა იქნება. სწორედ ამ მატჩში შედგება ლუიშ ფიგუს დებიუტიც.

ფავორიტადაც შეიძლება „ინტერი“ მივიჩნიოთ, რადგანაც მილანური კლუბი აშკარად მეტოქეზე უფრო მოტივირებული ჩანს. თანაც „იუვენტუსს“ თითქმის ნახევარი გუნდი დაშავებული ჰყავს, „ინტერი“ კი მატჩისთვის სრული შემადგენლობითაა მზად. თუმცა ტურინელთა უპირატესობა იმაშია, რომ შეხვედრა მათ მშობლიურ „დელე ალპიზე“ იმართება.

„ბებერ ქალბატონს“ ჯიჯი ბუფონი რომ არ ეყოლება, ალბათ კარგად იცით. ასე რომ კრისტიან აბიატის ნათლობა „ბიანკონერის“ მაისურით სწორედ „ინტერთან“ შედგება. დაშავებულია ლილიან ტურამიც, რომელსაც „ბაიერნიდან“ გადმოსული რობერტ კოვაჩი შეცვლის. ვერ ითამაშებს ალენსადრო ბირინდელი. როგორც იცით, იგი 6 თვე ველარ იბურთავებს. ცხვირი აქვს გატეხილი ჯორჯო კიელინის.

ტურინელთათვის ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ მინდორზე ალბათ ამ ზაფხულს გუნდის მთავარი შენაძენი პატრიკ ვიეირაც ვერ გავა. ხოლო პაველ ნედვედისა და მაურო კამორანეზის მცირე ტრავმები აწუხებთ, მაგრამ, ექიმების თქმით, ისინი თამაშს შეძლებენ.

ერთადერთი პოზიცია, სადაც „იუვენტუსის“ თავკაცს ფაბიო კაპელოს პრობლემა არა აქვს, თავდასხმაა. მას არჩევანის გაკეთება მოუწევს, თუ როგორი სისტემით ითამაშოს ამჯერად და ვინ დააყენოს ძირითად შემადგენლობაში.

„ინტერი“ სერიოზული გუნდია. მათ თავისი თამაში გასულ სეზონში იპოვეს და ახლა უფრო ძლიერები არიან. ერთი სიტყვით, რთული მატჩი გველის“ — თქვა „ნერო ამურის“ ყოფილმა და „იუვენტუსის“ ამჟამინდელმა მცველმა ფაბიო კანავარომ.

იტალიის ნაკრების კაპიტანმა „ბებერი ქალბატონის“ ახალწვეულებზეც ისაუბრა: „ჩვენ ისედაც ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთამაშე დავიმატეთ, რაც ყოველთვის კარგია. პირველ რიგში პატრიკ ვიეირას აღვნიშნავდი, ბოლოს კი აბიატის მოსვლამ გამახარა. მას კარგად ვიცნობ. ასევე მივესალმები ფედერიკო ბალძარეტის ტრანსფერს, მაგრამ ეს ცოტა მოულოდნელი გახლათ, რადგანაც იგი „ტორინოს“ ფეხბურთელი იყო...“

სხვათა შორის, გამორიცხული არ არის, ზემოთ ხსენებული ფედერიკო ბარძალეტის „იუვეში“ დებიუტიც დღეს შედგეს. ასე თუ ისე ეგრეთ წოდებული იტალიის დერბი ამჯერად ქვეყნის სუპერთასზე შედგება. ეს მატჩი კი მიუხედავად ყველაფრისა ყოველთვის განსაკუთრებულად საინტერესოა, ასე რომ...



რობერტო მანჩინი და მისი „ინტერი“ გამარჯვებისთვის ემზადება

# კემპესმა ათლეტები და ვილია შეაქო

ლეგენდარული მარიო კემპესი ორიოდ დღის წინ მადრიდის „ატლეტიკოს“ საწვრთნელ ვარჯიშს დაესწრო და იქაური „ასის“ კორესპონდენტებთან თავის უახლოეს მეგობარზე, „ათლეტთა“ მწვრთნელ არგენტინელ ბიანკიზე სასაუბრო დროც გამონახა.

„ვალენსიას“ ყოფილმა „მატადორმა“ ესპანურ მედიასთან მომავალი პრიმერადივიზიონის შესახებ ილაპარაკა. 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კემპესი მიიჩნევს, რომ მადრიდელები სწორად მოიქცნენ მწვრთნელად პატაგონიელი კარლოს ბიანკი რომ მიიწვიეს — ეს სპეციალისტი 2005-06-ის ჩემპიონატში „ვისენტე კალდერონის“ გუნდს გამარჯვებებს მოუტანს. გთავაზობთ ზემოთ ხსენებულ ინტერვიუს





მარიო კემპესი 27 წლის წინ და დღეს

**— კარლოს ბიანკის „ატლეტიკოში“ მოსვლის შესახებ რას გვეტყოდით?**

— ბიანკი არგენტინაში ერთ-ერთი საუკეთესო დამრიგებელია. იმ ორ გუნდს, რომელთაც ბოლო პერიოდში წვრთნიდა, ბრწყინვალე ჯილდოები მოუტანა. რა თქმა უნდა, გუნდის თავკაცს ბედიც უნდა სწყალობდეს, თუმც კარლოსს არც ამ მხრივ აქვს სასაყვედურო.

**— ანუ „ათლეტებმა“ სწორი ნაბიჯი გადადგეს...**

— გეთანხმებით. ჩემი აზრით, ბიანკიმ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს „ატლეტიკო“. „კალდერონზე“ მუშაობა ძნელია. ამ კლუბში მწვრთნელობას თავიდან ყველა ხალისით იწყებს, თუმცა მერე რატომღაც დიდი სიძნელეები ექმნებათ ხოლმე... ალბათ ეს ესპანური ფეხბურთის სპეციფიკას უნდა დავაბრალოთ. არა უშავს, რახან კარლოს ბიანკიმ პოსტი ჩაიბარა, თავის საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

**— თქვენ ფეხბურთელობისას თავდამსხმელი იყავით და დღევანდელი „ატლეტიკოს“ ყველაზე გამორჩეული ფიგურაც მოიერიშეა. რას ფიქრობთ ფერნანდო ტორესის შესახებ?**

— ახალგაზრდა ფეხბურთელია, თუმცა თავისი გუნდის შემადგენლობაში უკვე ბევრი გოლი გაიტანა. ბიანკის მოსვლა ფერნანდოს ძალიან დაეხმარება. მწვრთნელი მას მეორე ფორვარდს დაახმარს, რითაც ტორესი ზედმეტ ტვირთს მოიხსნის. რაც არ უნდა ძლიერი თავდამსხმელი იყო, შეტევით ფუნქციებს მარტო ვერ აუხვალ...

**— „ვისენტე კალდერონზე“ მალე „კორინთიანსის“ არგენტინელის, ხავიერ მასკერანოს მოსვლას ელოდებიან...**

— ძალიან გამიხარდება, თუ იგი მართლა „ატლეტიკოში“ ითამაშებს. ის სწორედ სასურველი 5 ნომერია, რომელსაც შეუძლია, გუნდს ბევრი სიძნელე გადაალახვინოს. მასკერანო ესპანეთში დაცვასაც კარგად მოაბამს თავს და წინ ბურთაობასაც.

**— მადრიდელთა გვარდიაში ახლა ბევრი არგენტინელია. საინტერესოა, მარიო კემპესი ამის შესახებ რას გვეტყვის...**

— უპირველეს ყოვლისა, ისინი პროფესიონალები არიან და ამიტომ თავიანთი საქმე მაქსიმალურად კარგად უნდა აკეთონ, მნიშვნელობა არა აქვს, მავანი არგენტინელი სამშობლოში იბურთავებს თუ საზღვარგარეთის რომელიმე ლიგაში. ვამაყობ ჩემი თანამემამულეებით, „სარაგოსაში“, „ესპანიოლში“ და „ვილიარეალში“ არგენტინელებს თავი არ შეურცხვენიათ. სასწაული უნდა მოხდეს, რომ „ატლეტიკოში“ ჩვენების გამარჯვებისადმი სწრაფვამ შედეგი არ მოიტანოს. სიმართლე ვთქვათ, ასეთი გუნდით „ვისენტე კალდერონის“ მოთამაშეებს არა უეფაზე, არამედ ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა მართებთ.

**— თქვენმა ყოფილმა კლუბმა „ვალენსიამაც“ ბევრი საჭირო ფეხბურთელი შეიძინა. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ კიკე ფლორესის შეგირდები დამდეგ პრიმერაში სხვა გრანდებს ღირსეული კონკურენცია გაუწიონ?**

— ასე წინასწარ ვერაფერს გეტყვით... კიკეს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს წინ. მინდა, სწორად გამიგოთ — „ვალენსიას“ ახლა ყველაზე მეტად გამხნევება ესაჭიროება. რასაკვირველია, გამიხარდება, თუ ისევ სწორუპოვარ „ღამურებს“ ვნახავ...

**— ესპანეთის მომავალ ჩემპიონად რომელი გუნდი მიგაჩნიათ?**

— მადრიდის „რეალი“ ან „ბარსელონა“. ამ უკანასკნელს მეტოქეთათვის ნამდვილად საშიში შემადგენლობა ჰყავს. ხანგრძლივი „მშრალი“ შესვენების მერე კატალონიელებმა თითქმის უნაკლო გუნდი შეკრიბეს, მაგრამ ამას თავისი მინუსიც გააჩნია — პიმერადივიზიონის ყველა კლუბი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავს „ბარსას“.

**— დასასრულს პრიმერას მომავალი სენსაციაც გვითხარით...**

— „ვილიარეალი“. ასე ერთი წლის მერე ჩემს სიტყვას გაიხსენებთ — „ყვითლები“ პრიმერაში ბევრ ფავორიტს გაამწარებენ. გულახდილად მინდა გითხრათ, დღეს ესპანეთში ყველაზე მეტად მადრიდის „ატლეტიკოს“ და „ვილიას“ ვქომაგობ...

# ბედნიერი პირლო

## მილანმა საქმე გაირთულა?



ანდრეა პირლო

**ანდრეა პირლომ** დაადასტურა ინფორმაცია, რომ იგი მილანთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. მოქმედი შეთანხმებით, ნახევარმცველი 2008 წლამდე უნდა დარჩეს „სან სიროზე".

„მილანში" ძალიან ბედნიერი ვარ და დიდი ხნით დარჩენა მინდა, კლუბსა და ჩემს აგენტს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. არა მგონია, რამე პრობლემა შეიქმნას" — განაცხადა პირლომ.

შემდეგ ნახევარმცველი ეროვნულ ნაკრებზე გადაერთო: „ჩემი აზრით, ირლანდიასთან კარგი მატჩი გამოგვივიდა. ერთი საათის მანძილზე მაინც ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ, მიხარია, რომ ნაკრებში ამდენი თანაკლუბელია. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და მინდორზე ეს ბევრ რამეს გვიადვილებს, რაც „სკუადრა აძურას" წაადგება".

„როსონერის" თავკაცს კარლო ანჩელოტის კი მაინცდამაინც არ ახარებს ის ფაქტი, რომ კლუბმა „იუვენტუსს" კრისტიან აბიატი დაუთმო და ამით მთავარ კონკურენტს საგრძნობლად დაეხმარა.

კარლო ანჩელოტი: „აბიატისთვის გუნდის გამოცვლა აუცილებელი იყო, რადგანაც მას რეგულარულად თამაში სჭირდება, თუმცა ახლა ის „იუვენტუსშია", რაც ტურინელებთან ორთაბრძოლაში პრობლემებს შეგვიქმნის და საქმეს გაგვირთულებს".

გარდა ამისა, ანჩელოტი არ მიიჩნევს, რომ კაკა ჯანლუიჯი ბუფონს ეუხეშა: ჩვენი ეს ჟესტი კომპენსაცია არ ყოფილა, რადგანაც არაფერი დაგვიშავებია. სამწუხაროა, რომ ჩვეულებრივ სათამაშო ეპიზოდში ბუფონი დაშავდა, თუმცა კაკას ეს არ უნდოდა. მოგეხსენებათ, თამაშის წესებს ძირითადად მის წინააღმდეგ არღვევენ".

ბოლოს კი სპეციალისტმა ისიც თქვა, ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთ, სისინიოს შეძენას არ ვაპირებთ, აქცენტი იტალიელ ფეხბურთელებზე გვაქვს გადატანილიო.

**გიორგი ქაქაბაძე**



ჯიჯი ბუფონი სამი თვე ხტუნვისგან დაისვენებს

# ჯანლუიჯი ბუფონს უკეთესობის სჯერა

## იყიდება ფაბრიციო მიკოლი

**ჯანლუიჯი** ბუფონს სჯერა, რომ მინდორს 3 თვეზე ადრე დაუბრუნდება. მან უკვე გაიკეთა ოპერაცია, რომელმაც წარმატებულად ჩაიარა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

„თავს კარგად ვგრძნობ. ახლა მთავარია, სასურველი ფორმა რაც შეიძლება, მალე დავიბრუნო. დიდი მადლობა ფანებს, რომლებიც ძალიან შეწუხდნენ. ასევე ჩემს კოლეგებს, რომლებიც ჩემს გვერდით არიან და მამხნევებენ — აღნიშნა ჯიჯიმ.

მოგეხსენებათ, სანამ ბუფონი მოშუშდება, მას კრისტიან აბიატი შეცვლის. ჟურნალისტებმა კომენტარი ამაზეც ითხოვეს, რაზეც ასეთი პასუხი მიიღეს: „მიხარია, რომ იგი ჩვენთან ითამაშებს. კრისტიანი ჩემი მეგობარია და იმედია, თავისი შესაძლებლობების გამოვლენას მოახერხებს".

ამბობენ, იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" კარის დარაჯს სასურველი ფორმის აღდგენა გაუჭირდებაო, თუმც ტურინელი ექიმები ქომაგებს, ალბათ თავად ბუფონსაც აიმედებენ, რომ ჯიჯი კიდევ უფრო ძლიერი დაბრუნდება. ამაზე თავად გოლკიპერმა ღიმილით განაცხადა, ხომ წარმოგიდგენიათ მერე როგორლა ვითამაშებო.

„ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა ფაბრიციო მიკოლის გაყიდვა. წესით, ტრანსფერი დღე-დღეზე უნდა შედგეს. ტურინელთა ტანმორჩილი ფორვარდის შეძენის სურვილის ყველაზე აქტიურად ინგლისური „ასტონ ვილა" და პორტუგალიური „ბენფიკა" გამოხატავენ. საუბარია რამდენიმე იტალიურ კლუბზეც.

„ერთი ფორვარდი უნდა გავყიდოთ და ეს ფაბრიციო მიკოლი იქნება. სულ მალე გვეცოდინება, „ასტონ ვილაში" გადავა იგი თუ „ბენფიკაში" — თქვა ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბებრების ძმადნაფიცობა



ენცო ფერერო №11

**ორი დიდი** „საფეხბურთო მოხუცის" ბედი გადაეჯაჭვა ერთმანეთს — გუშინ ხიხონის „სპორტინგისა" და არგენტინული „ბოკა ხუნიორსის" წარმომადგენლებმა ასტურიაში გამართულ წვეულებაზე საზეიმოდ გამოაცხადეს, რომ ამიერიდან დაძმობილებული კლუბები იქნებიან. მოგახსენებთ, ხსენებულ გუნდებს წლეულს დაარსებიდან საპატიო სენტენარიო ანუ ასი წლისთავი შეუსრულდათ. არგენტინული გრანდი და ესპანეთის ერთ-ერთი უძველესი კლუბი ამიტომაც გახდნენ ძმადნაფიცები. ორთა შორის ხიდის როლი კი ენცო ფერერომ იკისრა, ამ პატაგონიელს „ლა ბონბონერაზეც" უთამაშია, „ელ მოლინონზეც" და საერთოდ „ბებერ" ასწლოვან ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობაშია შესული. „ბოკა ხუნიორსი" ჩემთვის დედას წარმოადგენს, ხიხონის „სპორტინგს" კი საყვარელ ქალს შევადარებ. „ბოკაში" მობურთლად ჩამოვყალიბდი, ხოლო „სპორტინგში" უკვე მოწიფულობის პერიოდში ფიცხელი საფეხბურთო ვნებები მქონდა" — მართლაც რომ პოეტურად თქვა ფერერომ.

შემდეგ კი მანუელ ვეგა არანგოს, „სპორტინგის" პრეზიდენტს დიდის ამბით გადასცა „ბოკას" მაისურა და დროშა რასაკვირველია, სენიორ არანგომაც არანაკლები პომპეზურობით უსახსოვრა ექსმობურთალს „სპორტინგის" უძველესი ალამი, ანუ იმათებურად „ლა ბანდერა".

ორ მტკიცედ შეფიცულ „ბერიკაცს" რაღა წააქცევს...

**ლადო ხომერიკი**

# კლინტონი ვალტერმა იმსხვერპლა

**„ბირმინგემის"** ფორვარდი კლინტონ მორისონი ერთი საფეხურით ჩაქვეითდა — პრემიერლიგიდან ჩემპიონლიგის „ნორვიჩში" გადაბარგდა, მის სანაცვლოდ კი 2 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

26 წლის ირლანდიელმა თავდამსხმელმა ხუთი წელიწადი (1997-2002) „კრისტალ პალასში" გაატარა. ბოლო სეზონში 22 გოლი გაიტანა და ამით მოხიბლულმა „ბირმინგემმა" 2002-ის ზაფხულში კლუბისთვის სარეკორდო თანხად (5 მილიონი გირვანქა) შეიძინა.

მორისონმა ახალ გუნდში ვერ გაამართლა. სამ სეზონში მხოლოდ ათი გოლი მიითვალა, თან „ბირმინგემმა" ვალტერ პანდიანი იყიდა და ირლანდიელმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

„ვწუხვარ, რომ უკვე მეოთხე ფორვარდს შეველიეთ — განაცხადა „ბირმინგემის" მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა — მაგრამ ახლა რომ არ გაგვეყიდა, მომავალ წელს კონტრაქტი უმთავრდებოდა და მუქთად დავკარგავდით"

**მაჩა ხუციშვილი**

## საფრანგეთი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

მონპელიე 2:1 ამიენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შატორუ | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ლორიანი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 10 |
| ვალანსი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| კრეტეი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ბასტია | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ისტრი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| მონპელიე | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| გენიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| გენგამი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| გრენობლი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| სედანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| კლერმონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| დიჟონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ამიენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| რეიმსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:4 | 3 |
| ბრესტი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | 3 |
| ლე ავრი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| სეტე | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ლავალი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:6 | 0 |
| კაენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა

გადადებული მატჩი

ჰაკა 6:0 ტურკუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 17 | 10 | 7 | 0 | 32:13 | 37 |
| მიუპა | 17 | 11 | 4 | 2 | 29:10 | 37 |
| 17:30 | 437 | ოფენბახი-კიოლნი | 3.30 | 3.30 | 1.90 | 1.64 | 1.20 | 1.20 |
| 20:00 | 438 | ბრემერჰავენი-შალკე | 20.00 | 10.00 | 1.01 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| 20:45 | 439 | კობლენცი-ჰერტა | 9.50 | 4.70 | 1.20 | 3.14 | 1.06 | 1.00 |
| 17:30 | 444 | ბერლინი-ბოხუმი | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 440 | ლაიპციგი-დინამო | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 16:30 | 441 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 6.50 | 3.80 | 1.40 | 2.39 | 1.15 | 1.02 |
| 17:00 | 442 | სიგენი-ფრაიბურგი | 2.45 | 3.30 | 2.40 | 1.40 | 1.21 | 1.38 |
| 17:00 | 443 | ოსნაბრიუკი-ფიურტი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 17:30 | 445 | ეშბორნი-ნიურნბერგი | 8.00 | 4.60 | 1.30 | 2.92 | 1.11 | 1.01 |
| 19:00 | 446 | ჰანზა(მ)-მაინცი | 7.00 | 4.00 | 1.35 | 2.54 | 1.13 | 1.00 |
| 19:00 | 447 | ნეურუპინი-ბაიერნი | 20.00 | 9.50 | 1.01 | 6.44 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 448 | ვოლფსბურგი(მ)-დუისბურგი | 8.50 | 4.20 | 1.25 | 2.81 | 1.08 | 1.00 |
| 19:00 | 449 | მაგდებურგი-არმინია | 20.00 | 10.00 | 1.03 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| 19:00 | 450 | კარჩსჰოფი-მიონხენგლადბახი | 20.00 | 10.00 | 1.02 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 22:25 | 451 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი | 4.20 | 3.60 | 1.60 | 1.93 | 1.15 | 1.10 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. თასი 21 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 488 | ჩეზენა-ფიორენტინა | 5.00 | 3.20 | 1.65 | 1.95 | 1.24 | 1.08 |
| 19:00 | 489 | ჩიტადელა-ლივორნო | 5.00 | 3.20 | 1.65 | 1.95 | 1.24 | 1.08 |
| 19:00 | 490 | ემპოლი-პარმა | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| 22:00 | 491 | სიენა-ატალანტა | 1.95 | 2.90 | 3.85 | 1.16 | 1.29 | 1.65 |
| 22:00 | 492 | პავია-ბარი | 2.80 | 2.70 | 2.60 | 1.37 | 1.34 | 1.32 |
| 23:00 | 493 | ნაპოლი-პიაჩენცა | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 23:00 | 494 | ბრეშია-ჯენოვა | 2.90 | 2.80 | 2.40 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| 22:00 | 495 | მანფრედონია-კალიარი | 5.00 | 3.20 | 1.65 | | | |
| | | **იტალია. სუპერთასი 20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 480 | იუვენტუსი-ინტერი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი სუპერ თასი 20 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 453 | ბარსელონა-ბეტისი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| | | **ნორვეგია თასი 20 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 454 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 21:00 | 455 | ვოლერენგა-ბრანი | 1.95 | 3.40 | 3.10 | 1.23 | 1.19 | 1.62 |
| | | **21 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 456 | ჰიონეფოსი-ჰამარი | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 21:00 | 457 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფორმულა 1. თურქეთი. 20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.90 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | დორნბოსი | 70.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 16.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 50.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.20 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 55.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 60.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 5.20 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 5.50 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ვებერი | 45.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 40.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 25.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 30.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 15.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 10:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 60.00 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.40 | 2.20 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.67 |
| 10002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.10 | 2.00 | 4.70 | 1.02 | 1.45 | 1.40 |
| 10003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 2.00 | 5.00 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 2.55 | 2.00 | 3.90 | 1.12 | 1.54 | 1.32 |
| 10005 | ბლექბერნი-ფულემი | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | 1.32 |
| 10006 | ჩარლტონი-უიგანი | 2.20 | 2.00 | 4.90 | 1.04 | 1.51 | 1.42 |
| 10007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.45 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.20 | 1.73 |
| 10008 | ბირმინგემი-სიტი | 2.65 | 2.00 | 3.80 | 1.13 | 1.56 | 1.31 |
| 10009 | ბოლტონი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.90 | 1.14 | 1.59 | 1.32 |
| 10010 | ჩელსი-არსენალი | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

[illegible]

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.05 | 2.70 |
| 14002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.35 | 2.40 |
| 14003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.55 | 2.30 |
| 14004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 2.20 |
| 14005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.65 | 2.30 |
| 14006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.55 | 2.30 |
| 14007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.08 | 2.90 |
| 14008 | ბირმინგემი-სიტი | 1.70 | 2.10 |
| 14009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 2.10 |
| 14010 | ჩელსი-არსენალი | 1.60 | 1.90 |

## გოლი:ლუწი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ბირმინგემი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჩელსი-არსენალი | 1.85 | 1.95 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.45 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11005 | ბლექბერნი-ფულემი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11006 | ჩარლტონი-უიგანი | 2.55 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.45 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11008 | ბირმინგემი-სიტი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11009 | ბოლტონი-ევერტონი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11010 | ჩელსი-არსენალი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.90 | 1.70 |
| 12003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ბირმინგემი-სიტი | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჩელსი-არსენალი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 13002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.90 | 1.70 |
| 13008 | ბირმინგემი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჩელსი-არსენალი | 1.70 | 1.90 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.05 | 4.50 |
| 16002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 1.20 | 3.00 |
| 16003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.35 | 2.40 |
| 16004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 1.50 | 2.10 |
| 16005 | ბლექბერნი-ფულემი | 1.40 | 2.20 |
| 16006 | ჩარლტონი-უიგანი | 1.30 | 2.70 |
| 16007 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.04 | 4.50 |
| 16008 | ბირმინგემი-სიტი | 1.45 | 2.20 |
| 16009 | ბოლტონი-ევერტონი | 1.45 | 2.20 |
| 16010 | ჩელსი-არსენალი | 1.40 | 2.40 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბლექბერნი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ჩარლტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ლივერპული-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ბირმინგემი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩელსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# ავიამშენი შენდება და სიმაღლეს კრეფს

## პლასიდე როდუმტა საქართველოში ბრუნდება

გასული ჩემპიონატის ფინალში დამარცხებულ „თბილავიამშენში" დიდი მიდი-მოდია. ეს ამბავი არც იყო მოულოდნელი, რაკი ლევან მოსეშვილის გუნდს ჩემპიონობა ცხვირწინ აართვა „სტუ-ჯეოსელმა" და „ავიამშენმაც" შემადგენლობის გადახალისებას მიჰყო ხელი. „ავიატორებს" ოთხი ახალწვეული ჰყავთ, გუნდი კი ამდენივე მოთამაშემ დატოვა. ლევან მოსეშვილს „ავიამშენში" მიმდინარე ამბების გასაგებად შევეხმიანეთ...

**— ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეთ?**

— ვარჯიშები დავიწყეთ, მაგრამ ჯერ სრულყოფილად არ ვემზადებით. ანუ ფიზიკურ მომზადებას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ, ვიდრე კომბინაციებსა და ტაქტიკურ მონახაზებს. ყოველდღიურად ვიკრიბებით მძლეოსნობის დარბაზში, კვირაში ორჯერ კი ვერის ბაღში უშუალოდ ბურთით ვვარჯიშობთ.

**— შემადგენლობაში ცვლილებები, რა თქმა უნდა, იქნება...**

— ცხადია, ისევ ისეთი შემადგენლობით არ ვითამაშებთ, როგორც წინა სეზონში. უკვე ოთხი ახალი მოთამაშე შევიმატეთ და სელექციის პროცესი სეზონის დაწყებამდე გაგრძელდება.

**— დღესდღეობით რამდენი მოთამაშე გყავთ?**

— ჯერჯერობით თერთმეტნი ვართ, რომელთაგან ათი ვარჯიშობს. ჩვენს ერთ-ერთ ახალწვეულ პლასიდე როდუმტას ფეხის ტრავმა აქვს. როდუმტამ შარშანდელი სეზონი ირანში გაატარა და ტრავმაც იქ მიიღო. თუ სეზონის დაწყებამდე მწყობრში ჩადგა, ჩვენთან ითამაშებს.

**— დანარჩენი ახალწვეულების ვინაობაც გაგვაცანით...**

— კარგა ხანია, დავით ბერიშვილი გადმოვიყვანეთ „სტუ-ჯეოსელიდან", ბოლო დღეებში კი ორი დინამოელიც შემოგვემატა — ნიკა ჩხატარაშვილი და ნოდარ ბექაური.

**— ეგ ორი დინამოელი საკმაოდ ახალგაზრდაა, „ავიამშენი" კი ძირითადად გამოცდილ მოთამაშეებზე იყო ორიენტირებული...**

— გუნდის მეტაპტრონემ, ბატონმა პანტიკო თორდიამ გადაწყვიტა, რომ შემადგენლობა გადავაახალგაზრდაოთ. ამიტომაც ვცდილობთ, პერსპექტიული ბიჭები შევიმატოთ. ჩხატარაშვილი ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ბულგარეთში საკმარისი გამოცდილება შეიძინა ეეროსაკვალიფიკაციო ტურნირზე. ბექაურს კი ჩინებული მიზანი აქვს, სამქულიანებს შესანიშნავად ესვრის.

**— ვინ წავიდა?**

— დავით ბერძენიშვილი, კახა შენგელია, მამუკა აბრამიძე და დავით თორთლაძე ავიამშენელები აღარ არიან. ეს ბიჭები გასულ სეზონში ბოლომდე დაიხარჯნენ გუნდისთვის და დიდი მადლობა მათ ამისთვის.

**— უცხოურ შეკრებას ხომ არ გეგმავთ?**

— ჯერ არ ვიცი. სეზონი სავარაუდოდ ოქტომბერში დაიწყება და მანამდე ეგებ თბილისიდან გავიდეთ კიდეც.

**ირაკლი პერტაია**



ლევან მოსეშვილმა ახალი სეზონისთვის სელექცია დაიწყო



„დინამოში" აღარც ზურაბ ტომარაძე დარჩა და აღარც მისი შეგირდები

# ახალი ქართული ანდაზა: ჩემპიონობა არსებობისთვის სახიფათოა

## ვითა, ბასკო, სტუ-ჯეოსელი და ... დინამოც?

**ერთობ** უჩვეულო და ამავდროულად ძალიან ცუდი თავისებურება ახასიათებს ქართულ კალათბურთს, უფრო სწორად კი ეროვნულ ჩემპიონატს. დამოუკიდებელ საქართველოში აქამდე 14 ჩემპიონატი ჩატარებულა, რომლებიც მთლიანობაში ოთხ გუნდს მოუგია, თუმც ახლა იმაზე კი არ ვაპირებთ საუბარს, თუ რომელ კლუბს რამდენჯერ უჩემპიონია, არამედ სამწუხარო ფაქტს აღვნიშნავთ — ამ ოთხი გუნდიდან დღესდღეობით აღარც ერთი არ არსებობს.

თუ „ვითასა" და ბასკოს" დაშლის ამბები უკვე ისტორიის კუთვნილებაა, სულ ახლახან საქართველოს კიდევ ორი ტიტულიანი გუნდი დაიშალა. წლეულს გაჩემპიონებული „სტუ-ჯეოსელი" აღარ არსებობს და რომც აღსდგეს, ის გუნდი არ იქნება, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე საპრიზო სამეულს არ გამოკლებია.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი სატელეფონო კომპანია „ჯეოსელმა" მიატოვა, რითაც ტექნიკოსები ფაქტობრივად უფულოდ დარჩნენ და კლუბი რომც შენარჩუნდეს, ის იქნება ღარიბი სტუ, „ჯეოსელის" გარეშე.

და მთავარი: დღესდღეობით აღარც „დინამო" არსებობს, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, რომლის საწვრთნელ ბაზასაც დიდი ბოქლომი ადევს და ყველა მოთამაშე თავის მწვრთნელებიანად დათხოვნილია.

ივნისში, როცა ნაკრების ახალდანიშნულ მწვრთნელ გორდონ ჰერბერტს და ნბა-ს ქართველობას ხვდებოდა, „დინამოს" პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა: მე არჩევანი უნდა გამეკეთებინა „დინამოსა" და ნაკრებს შორის, რომელიც ამ უკანასკნელზე შევაჩერე. ეროვნული გუნდი ქვეყნის სახეა და მისით უფრო იოლია, მსოფლიოს თავი გააცნო. მით უფრო, რომ ჩვენს ნაკრებს დიდი პოტენციალიც აქვს და შესაბამისად ოლიმპიადაზე გასვლის პრეტენზიაც".

ივნისში ეს თქვა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და „დინამოს" პრეზიდენტმა, დიღმის ბაზას კი, რაც ეროვნული ნაკრები საქართველოდან წავიდა (1 აგვისტოს), ბოქლომი დაადვეს. ანუ იოლი გასაშიფრია ყველაფერი: ნაკრები რომ თბილისში იყო, „დინამოს" ბაზაზე ვარჯიშობდა და მისი წევრებიდან ვისაც სურვილი ჰქონდა, ცხოვრობდა კიდეც იქ, ხოლო წავიდა ნაკრები და...

„დღესდღეობით „დინამოში" არავინ ირიცხება. გასული სეზონის ბოლოს აბსოლუტურად ყველას კონტრაქტი დაგვიმთავრდა და კლუბთან აღარაფერი გვაკავშირებს — გვითხრა „დინამოს" გასულ სეზონში გამწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ — დიღმის ბაზა დაკეტილია და იქ არაფერი აღარ ხდება."

არადა, შარშან ამ დროს „დინამოს" ბაზაზე ცხოვრება დუღდა. კალათბურთელები ვარჯიშობდნენ, დამლაგებელი ფუსფუსებდა, სანტექნიკოსი საშხაპეებსა და წვრთ[illegible] გამაცხელებელ სისტემას [illegible]ალებდა, პრესმდივანი ქალიშვილი ჩაჰკირკიტებდა, ერთი სიტყვით, „დინამო" ახალი სეზონისთვის [illegible]ზადებოდა. ახლა კი დილის ბაზა[illegible]ზე მხოლოდ დაცვის თანამშრომლებს თუ შეხვდებით. იქ ყოველგვარი საქმიანობა შეწყვეტილია და შენობა ელექტროენერგიისგან [illegible] მარაგდება.

დღეს „დინამო" არ არსებობს, მაგრამ არსებობს იმედი, რომ პატარკაციშვილი გადათქვამს ივნისში ნათქვამ სიტყვას და კალათბურთელებს კვლავ გაუხსნის ფინანსურ არხს. ამბობენ, შესაძლებელია, ყველაფერი უახლოეს დღეებში [illegible]დის ქალაქ ურეკში გადაწყდეს, თუმც იმასაც ამბობენ, „დინამო[illegible] ბეკლი ნაკრების მატჩების შე[illegible] ბიან არის დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, იარსებებს „დინამო" მომავალში თუ არა, დღეს ვერაფერს ვიტყვით. ამ კლუბის ირგვლივ მიმდინარე ამბები [illegible]ლთვის ბურუსით იყო მოცული და ახლაც ნუ ველდებით, ზედმიწევნით უტყუარი ინფორმაციის მიღებას, რადგან „დინამოს" ბედ-იღბალი ჯერ ალბათ არც თვით ბადრი პატარკაციშვილს გადაუწყვეტია.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური
კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
სახელოვანი ქართველი მოჭადრაკის
ნანა ალექსანდრიას დედის
ალექსანდრა (შურა) ალექსანდრიას
გარდაცვალების გამო
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

### მასტერსის სერია

ცინცინატი. მაგარსაფარი.
საპრიზო 2,2 მილიონი $

### მესამე წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:3 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:1 6:4; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:0 6:3; **ენდი როდიკი** (5, აშშ) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 7:6 (7:4) 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 6:3 6:4; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ლუის ორნა (პერუ) 7:6 (7:5) 7:5; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — გაელ მონფი (საფრანგეთი) 4:6 6:1 6:1; **რობი ჯინეპრი** (აშშ) კარლოს მოია (ესპანეთი) 6:3 6:4

# ფედერერს „ბრეხები" მოუგონეს

## როხუსი ქართულ ანდაზას იხსენებს



იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

**სლოვაკი** დომინიკ ჰრბატის შეხვედრით რუსეთელმა მარატ საფინმა თავისი უმთავრესი კონკურენტები სერიოზულად გააფრთხილა — ბიჭი ვარ და მოვდივარო. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ურთიერთ იმ დღეს არც მის კონკურენტებს უჩივლიათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესენიც ბიჭები არიან და დაუხვდებიან. მოკლედ — უკეთუ ვოლგისპირელ ჯილას მტკივანი მუხლი ბოლომდე აცლის, ბარაქიანი ბურთაობის მომსწრენი უნდა დავხვდეთ.

მანამდე კი — ყველაფერს თანმიმდევრობით მოვყვეთ. ალბათ, აღარ გჭირდებათ იმის შეხსენება, რომ უიმბლდონის მერე საფინს სწორედ მუხლის გამო არ უთამაშია — ტოსკანურ სახურუშეთში გართულებული ტრავმასაც იშუშებდა და წლის განმავლობაში დახარჯული ილაჯის აღდგენასაც ცდილობდა. მისი საამცინცინატო გარჯის მიხედვით ისე ჩანს, რომ ილაჯი მას ლონივრად აღუდგენია, თუმცა ტრავმა მაინც უჩმახებს და მასაც ყველაზე მეტად სწორედ ეს აღელვებს.

თუმცა ჰრბატის, ვისაც მასთან აქამდე ნათამაშებ 13 შეხვედრაში მასზე ერთით მეტჯერ ემარჯვა, მან იმ დღეს ერთობ დამაჯერებლად, სულ რაღაც 68 წუთში სძლია. დღეს გაცილებით იმაზე უკეთ ვითამაშე, ვიდრე წინა წრეში ბრიტანელ ენდი მიურეისთანო, იძახდა მერე მარატი. ბოლოს კი ასე დასძინა: „მეორე სეტში ცოტა ავნერვიულდი, რადგანაც ყველაფერი მართლაც ძალზედ კარგად გამომდიოდა. მუხლი ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ მთლიანად ჩემი ამჟამინდელი ფორმით მაინც კმაყოფილი ვარ. გამარჯვებები მწყურია და იოლად არავის არაფერს დავუთმობ."

გუშგვიანდამ ბობოქარი რუსეთელი 22 წლის ჯორჯიელ რობი ჯინეპრის უნდა რკენოდა. ამერიკულ მაგარსაფარზე ჯინეპრი ამ ზაფხულში ერთობ რიგიანად ბურთაობს და ხანამ ცინცინატურ მეოთხედფინალს უწევდა, ლოს ანჯელესურ მეოთხედფინალშიც ითამაშა, ხოლო ინდიანაპოლისობაზე სულაც იტიტულა კიდეც.

იოლად აჯობა მან ცინცინატობის 2002 წლის ჩემპიონ კარლოს მოიასაც. საფინთან შეხვედრის წინ კი ჩინებული საამთიმენტო ფორმის გარდა მარაგად იმასაც მოიძევდა, რომ მათ ერთადერთ აქამომდელ შეხვლაში, რაც შარშანწინდელი ინდიანუელსობის მეოთხე წრეში შედგა, მას 6:0 6:1 ემარჯვა.

იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთელს მაინც მოუხერხდებოდა მისი ძლევა, ნახევარფინალში ის როჯერ ფედერერს დაეჯახება, ვისაც წლეულს უკვე ორჯერ ებუღრავა და — ჰალეობის ფინალში თუ დამარცხდა — ავსტრალიის ღია პირველობის უდრამატულეს, ზღაპრულ ნახევარფინალში მოერია. სულ კი მათ ერთმანეთში 9-ჯერ უბურთავიათ და შვეიცარიელი 7:2-ით უპირატესობს.

იმ დღეს ფედერერი ყველაზე გვიან გავიდა კორტზე და სიყრმის დოსტ ოლივიე როხუსს უპრობლემოდ გაუსწორდა. ამ მატჩში მას უკვე ნაკლებ ეტყობოდა ის ამბავი, რომ ჩოგანი კარგა ხნის განმავლობაში აღარ გაენძრია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი საწინაწრეო მეტოქეებისგან, ჯეიმს ბლეიკისა და ნიკოლას კიფერისგან განსხვავებით როხუსმა მას ფიორა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია.

დღეს კარგად ვითამაშე, მაგრამ მან ყველაფერი მაინც ჩემზე უკეთ გააკეთაო, ამბობდა ნამატჩევს როხუსი და, ჰაი-ჰაი, რომ მართალიც გახლდათ. მერე კი როჯერის ბიჭობასაც იხსენებდა და, აი, ეგეთ რამეებსაც ჰყვებოდა:

„ჩვენი ძმა ცამეტის წლის ბიჭუკელა მახსოვს, 14-წლამდელთა ტურნირებში თითქმის ყველასთან 0:6 1:6 აგებდა. რაღა დაგიმალოთ და, მაგრად დავცინოდით ხოლმე. მაგრამ ახლა ვინ ვის დაცინის? ახლა ის კენწეროშია და რასაც უნდა, იმას გვიშვრება, მაგრამ ჩოგანს იმის მოგონებით მაინც ვიოხებთ, რომ, როცა პატარა იყო, მართლაც ძალიან ცუდად თამაშობდა."

თავად როჯერი კი ნამატჩევს წარსულზე საუბარს თავის აწმყო ფორმის გარჩევას ამჯობინებდა და ჰალალად ხარობდა იმით, რომ როხუსის წინააღმდეგ უფრო აგრესიულად გაირჯა.

ხარობისა და კმაყოფილობის საბაბი ჰქონდათ ლეიტონ ჰიუიტსა და ენდი როდიკსაც. კისკასმა ოზბიჭმა მეტისმეტად იოლად სძლია ათლავაშა ხორვატ მარიო ანჩიჩს, როდიკმა კი პირველ სეტში ტაიბრაიკზე წაგლაჯუნების შემდეგ მეორეში უკვე მცირედი ძალისხმევით დაიმორჩილა არგენტინელი ჩელა.

ჰიუიტს საერთოდ აღარ ეტყობა ის, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაურჯელს წინა კვირაში, მონრეალობის საპირველწრეო მატჩი კუჭის მავანმა სალმობამ მატჩი შეაწყვეტინა. ცინცინატობაზე ის თამაშიდან თამაშამდე უფრო ლაღი და ჩიკორა ხდება და დასტურ საწყენი იქნებოდა, გუშგვიანლამვე უჩინებულეს ფორმაში მყოფ რუს ნიკოლაი დავიდენკოს თუ ვერ გააიმასქნებდა.

ისე, 24 წლის დავიდენკო წლეულს კარიერის საზეო ჩოგბურთს თამაშობს და იმის გარდა, რომ აქამდე მორეწილ ოთხ ტიტულს ზანკტპიოლტენური თიხნარტიტულიც მიათვალა, ხუთგან — ბარსელონაში, შტუტგარტში, ჰამბურგში, როლანგაროსსა და დოჰაში ფინალში გასასვლელად ერთი მატჩის მოგებაღა დააკლდა.

სხვათა შორის, ცინცინატურ მეოთხედფინალს იმ დღეს მესამე რუსმა ხვადმა, მიხაილ იუჟნიმაც უწია. მან ახლახანს სოპოტურ თიხნარზე კარიერის პირველ ტიტულს შეწვდენილი წოწოლა აფროფრანგი გაელ მონფი აოტა.

### ROGERS CUP

ტორონტო. მაგარსაფარი.
საპრიზო 1,3 მილიონი $

### მესამე წრე

**ამელი მორეზმო** (2, საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:0 6:2; **ხისელა დულკო** (არგენტინა) — სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) 7:6 (7:3) 7:6 (10:8); **ჟუსტინ ენენ-არდენი** (4, ბელგია) — წენ ძი (ჩინეთი) 6:2 6:4; **ნადია პეტროვა** (6, რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:2 3:0 *ლიმ შეწყვიტა*; **კიმ კლაისტერსი** (7, ბელგია) — ანა ივანოვიჩი (სდმ) *ივანოვიჩმა ვერ ითამაშა*; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 7:6 (7:5) 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) — ჰანა სრომოვა (ჩეხეთი) 6:2 6:2

**სვეტლანა** კუზნეცოვა ათ დღეში დასაწყებ აშშ-ის ღია პირველობაზე მის [illegible] შარშან ნაშოვნ ტიტულს [illegible] შეინარჩუნებს, ვგონებ, დიდი დავა ამას არ სჭირდება. საქმე ის გახლავთ, რომ კუზნეცოვას, ვინაც სა-აშ-აშშ-ის-ღია-პირველობო სამზადისი ისედაც ბითურად ჩაატარა, ახლა წელის ტკივილიც შეუჩნდა.

უსახელო არგენტინელ ხისელა დულკოს წინააღმდეგ მან ხან მხლავს გამოუხმო კორტზე, ხან თავად მიაშურა გასახდელს, მაგრამ არაფერი ეშველა — მართალია, შეხვედრის ბოლომდე მიყვანა შეძლო, მაგრამ, ვაი, ასეთ მიყვანას.

„წელი წინა დღეებშიც მტკიოდა, მაგრამ დღეს უკვე გახსნებასაც ვერ ვახერხებდი — წუწუნებდა ის მერე — ხელუკუღმას ვერ ვურტყამდი, რადგანაც სხეულის შეტრიალება არ შემეძლო, ხელწოლმაც გაჭირვებით გამომდიოდა. სირბილის დროს კიდევ არა უშავდა, მაგრამ მარტო სირბილი რა ხარაა... დროზე ადრე კი თამაში არასოდეს შემიწყვეტია და ეს არც დღეს გავაკეთე. არადა, ვგონებ, აჯობებდა, გამეკეთებინა."

მადლიერ მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ბოლო თვეების განმავლობაში ტრავმიანობა ქალთა ამქარს ეპიდემიად მოედო. თუკი ამ მომენტისთვის უკვე დაშავებულ ზეოცეულელთ — რომელთა შორის ლინდსი დევენპორტი, ვინუს და სერენა უილიამსები, მარია შარაპოვა და მარი პირსიც არიან — კიდევ სვეტლანა კუზნეცოვასა და მოგვიანებით დაშავებულ სერბ ანა ივანოვიჩსაც დავამატებთ, სიტუაცია მართლაც მძიმე გამოდის.

სხვათა შორის, იაპონელ ასაგოეს წინააღმდეგ ჩოგნაობისას მარცხენა კოჭი გადაიბრუნა ანასტასია მისკინასაც, ოღონდ ტურნირიდან მისი გამოთიშვის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა. ბარუკუ — ნატკენი კოჭით მან ასაგოეს დამარცხება მაინც შეძლო.

ისე, ზევით რომ ივანოვიჩი ვახსენეთ, მისი დაჭიმული მყესით კიმ კლაისტერსმა იხეირა, რადგან ამის გამო მეოთხედფინალში ჩოგნის გაუნძრევლად [illegible].



სვეტლანა კუზნეცოვას ვერც გამოზელვამ უშველა



# ვოლაბების ბოლო შანსი

## პერთში ცივა, ედი ჯონსს კი დასცხება

**ავსტრალიაში** ზამთარია, ამას წინათ ისეთი თოვლიც მოვიდა, ახლანდელ თაობას სულ რომ არ ახსოვს. დიდ-პატარას ფოტოაპარატი ეჭირა ხელში და გადათეთრებულ ქუჩებს იღებდა.

დღეს პერთში თოვლი არ იქნება, სინოპტიკოსები მშრალ ამინდს წინასწარმეტყველებენ და ტემპერატურაც თხუთმეტიოდე გრადუსს მიაღწევს, თუმც ფოტოაპარატების ჩხაკაჩხუკი ოზებს მაინც მოუწევთ.

„სუბიაკო ოვალზე" სათამაშოდ ავსტრალიას სამხრეთ აფრიკა, წლევანდელი სამი ერის ლიდერი სწვევია და „ვოლაბებმა" თუ ვერ იმარჯვეს, ცუდად აქვთ საქმე, გაპირველების თეორიულ შანსსაც კარგავენ.

წლეულს უკვე მეოთხედ ერკინებიან ოზები „ქურციკებს". პირველ წლევანდელ ტესტში ავსტრალიელებმა 30:12 იმარჯვეს და ეს ამბავი სიდნეიში მოხდა, შემდეგ კი აერიათ მონასტერი.

სამი ერის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, მანდელას თასზე თამაშისას, „ქურციკებმა" 33:20 იხეირეს, უკვე სამ ერზე კი — 22:16. ამას საშინაო მარცხი მოჰყვა ახალი ზელანდიის ნაკრებთან და ახლა ისე გამოდის, რომ ზედიზედ სამი მატჩია ედი ჯონსის სამწყსოს გულშემატკივარი არ გაუხარებია და თუ მეოთხედაც წააგო, ეგებ მხოლოდ ამ სამერობაზე თამაშილა აცალონ. შემდეგ კი უეჭველად ნაკრებიდან გუდა-ნაბადს აკვრევინებენ.

„ვოლაბთა" თავკაცის მიერ გაკეთებულ ცვლილებებზე ცოტა ხნის წინ ვწერდით და ახლა ამაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით. თუ ვინმეს მაშინდელი სტატია არ წაუკითხავს, აქვე შეუძლია განაცხადებს გადახედოს.

ედი ჯონსი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ამბობს, თუ ჩვენი თამაში ვითამაშეთ, „ქურციკები" ჩათვლის მოედანს ვერ გაეკარებიანო. იმასაც ამბობს, რაც კი ბოლო თამაშებში აფრიკელებს ლელოები გაუტანიათ, ყველა მეტოქის უხეში შეცდომების ბრალი იყო და თუ დაცვაში გამოვდექით, სირცხვილს აღარ ვჭამთო.

აი, ასეთია ამ კაცის განწყობა, თუმცა სიტყვები ერთია და ფაქტები მეორე. ავსტრალიელთა თამაში რომ დღეისათვის იმ დონის არ არის, ამ ქვეყანას რომ ეკადრება, ახალზელანდიელებთან მატჩისასაც კარგად გამოჩნდა.

სამხრეთაფრიკელნი უკანა ხაზში ჩაუქრობენ და მეტოქის ბეკების შეცდომათა წყალობით გააქვთ ლელოები, ამიტომ ამათი დაპირისპირება საინტერესო საცქერი უნდა იყოს.

აფრიკელთა მხრიდან ბრეიტონ პოლსის თამაშს დააკვირდითო, გვირჩევენ სპეციალისტები. საინტერესოა, „ქურციკთა" ფრთოსანმა სიჩქარეს ხომ არ უკლო დროთა განმავლობაში.

ავსტრალიელთა კაპიტნის, ჯორჯ გრეგანის თამაშიც ფრიად სამზერი უნდა გამოდგეს. ხალხი უკიჟინებს, ბებერი ხარ და წადიო, თუმც ჯორჯი ამტკიცებს, ჯერაც ყმაწვილად ვგრძნობ თავს და ამას პერთში დავამტკიცებო. ვნახოთ.

**ლადო ფულუკიძე**

20 აგვისტო. პერთი

**ავსტრალია — სამხ. აფრიკა**

**ავსტრალია:** დრიუ მიტჩელი, მეტ როჯერსი, მორგან ტურინუი, მეტ ჟიტო, ლოუთ თუქირი; ელტონ ფლეტლი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); დევიდ ლაიონსი, ფილ ვუ, როკი ელსომი, ნათან შარპი, დენიელ ვიკერმანი, ალ ბაქსტერი, ბრენდან ქენონი, ბილ იანგი

**სათადარიგოები:** *დაზუსტდება თამაშის დაწყების წინ*

**სამხრეთ აფრიკა:** პერსი მონტგომერი, ბრეიტონ პოლსი, ჟაკ ფიური, ჟან დევილიერი, ბრაიან ჰაბანა; ანდრე პრეტორიუსი, რიკი ჯანუარი; ჯონ ფან ნიკერკი, ხუან სმიტი, შალკ ბურგერი, ვიკტორ მეტფილდი, ბეკიზ ბოთა, სიჯეი ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ, ოზ დურანდტი

**სათადარიგოები:** ჰანიანი, შიმანჯი, გუ რთრო, შტინკამპი, ალბერტ ფან დენ ბერგი, ჟაკ კრონხე, ფიური დუპრე, უეინ იულისი, იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი

# მუხთალი ბრმა ნაწლავი

**2003 წლის** მსოფლიო თასის ინგლისელი გმირი, ჯონი უილკინსონი ტოკიოში, საავადმყოფოში გააქანეს — მუცლის მწვავე ტკივილებით გაწვალებულს აპენდიქსის ანთება დაუდგინეს. მართალია იაპონელმა ექიმებმა დაავადებას სწრაფად აუღეს ალღო, მაგრამ ფაქტია, რომ ის, რისთვისაც მორაგბე ამომავალი მზის ქვეყანაში ჩავიდა, ჩაიშალა: ის ვერც დღეს ითამაშებს „ნიუკასლ ფელკონის" შემადგენლობაში „გრინ როკეტსის" და ვერც სამშაბათს „ტოიოტა ვერბილიცის" წინააღმდეგ.



# რა არის ტოდის ცხოვრება?

**პირველად** ამ წელიწადნახევრის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც „ვანკუვერის" ფორვარდმა ტოდ ბერტუციმ კოლორადოელ სტივ მური ლამის წუთისოფელს გამოასალმა, დამნაშავემ პირველი საჯარო კომენტარი გააკეთა. მოკლედ, მხოლოდ ერთი კვირაა, რაც მას გერი ბეტმენის გადაწყვეტილებით ყინულზე დაბრუნების უფლება მიეცა და ეს დაბრუნებაც ხმაურიანი გამოუვიდა. თან, ბერტუცი არც მეტი, არც ნაკლები, კანადის ოლიმპიური ნაკრების შეკრებაზე გამოიძახეს. მოგეხსენებათ, კანადა ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით გამოვა. ასე რომ, ბერტუცის მიწვევა ბევრზე მეტყველებს.



ტოდ ბერტუცი ძველ საქციელს ნანობს

„დღეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ახალი ცხოვრება იწყება. წარსულს ველარ შევცვლი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრება მხოლოდ იმ საქციელით არ შეფასდება. ადამიანები ხშირად ცდებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ მეორე შანსი არ უნდა მიეცეთ" — თავი იმართლა ბერტუციმ.





გულშემატკივარი ბერტუცის ჯვარცმას ითხოვს

უნდა ითქვას, რომ ნაკრებში მურის ბევრი თანაკლუბელია, მაგრამ რაიმე პრეტენზია ბერტუცის გუნდში დაბრუნების თაობაზე ერთსაც არ გამოუთქვამს.

„ტოდმა თავისი მოიხადა და საკმაოდ ხანგრძლივადაც. მთავარი კი ისაა, რომ სტივ მური თანდათან უკეთ გრძნობს თავს" — ასეთი იყო „კოლორადოს" კაპიტნის ჯო საკიკის კომენტარი.

და მაინც, ქომაგებს ალბათ უსამართლობის შეგრძნება დარჩათ. ბერტუცი უკვე ბრუნდება ყინულზე, აი, როდის დაბრუნდება მური, არავინ არ იცის.

სხვა მოვლენებიდან კი გამოვყოფთ ვენსან ლეკავალიეს მიერძველ კლუბ „ტამპასთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას. უნდა ითქვას, რომ ლეკავალიე საკმაოდ დიდხანს ვაჭრობდა და ალბათ, არც შემცდარა. ის ხომ ოთხი წლის განმავლობაში 27,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

სხვა გადასვლებსა და საკონტრაქტო ამბებს ტრადიციულად ცხრილის მეშვეობით გაუწყებთ.

| მოთამაშე | ამპლუა | ძველი კლუბი | ახალი კლუბი | ვადა | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| ფორვარდი | ტორონტო | ნიუ ჯერსი | 2 წელი | | |
| იოზეფ შტუმპელი | ფორვარდი | ლოს ანჯელესი | ფლორიდა | 2 წელი | |
| კერტის ჯოზეფი | მეკარე | დეტროიტი | ფინიქსი | 1 წელი | |
| სტივ სალივანი | ფორვარდი | ნეშვილი | ნეშვილი | 4 წელი | |
| ენსონ კარტერი | ფორვარდი | ლოს ანჯელესი | ვანკუვერი | 1 წელი | 1 მლნ |
| კერტის ლეშაიშინი | მცველი | ოტავა | კოლორადო | 1 წელი | 2 მლნ |

# რუსეთის გონებით რას ჩაწვდებით

**ახალი** შეთანხმების შესახებ ნჰლ-სა და ევროპულ ფედერაციებს შორის მოლაპარაკება საბოლოოდ ჩიხში შევიდა. გერი ბეტმენის მოსკოვური და მისი თანაშემწის, ბილ დეილისა და პროფკავშირის ახალი ბოსის ტედ საცკინის ევროპული ვოიაჟის შემდეგ სიტუაციის გამოსწორებას ელოდნენ, მაგრა ევროპული ჰოკეის 7 წამყვანი ქვეყნის წარმომადგენელთა ციურიხულმა შეხვედრამ იმედები გააქარწყლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხუთმა ქვეყანამ (ფინეთი, შვედეთი, გერმანია, შვეიცარია და სლოვაკეთი) მხარი დაუჭირა ახალ ხელშეკრულებას. აი, რუსეთმა და ჩეხეთმა კი კვლავ უარი თქვეს. რუსებს უნდათ მათმა კლუბებმა ჩრდილოეთ ამერიკის გუნდებთან პირდაპირ გააფორმონ კონტრაქტები. თავის მხრივ, ჩეხებს არ აწყობთ ის მცირე კომპენსაცია, რომელსაც ლიგა სთავაზობთ. ისინი 150 000 დოლარზე ორჯერ მეტს ითხოვენ, მაგრამ ეს ჯამში ნჰლ-ს მიერ გამოყოფილ 12,5 მილიონს ბევრად აღემატება და ბეტმენს ამაზე ლაპარაკიც კი არ უნდა. ერთადერთი, რაზეც ლიგის კომისიონერი ყაბულსაა, შეთანხმების ვადის 3 წლამდე შემცირება გახლავთ. ერთი სიტყვით, შეთანხმება ჩაიშალა, ვინაიდან შვიდივე ევროპული წარმომადგენლის თანხმობა იყო საჭირო.

პარადოქსი კი ისაა, რომ ეს უარი თავად ევროპულ ქვეყნებს უფრო აზარალებს. ახლა ნჰლ-ის გუნდებს თავისუფლად შეუძლიათ ევროპელების გადაბირება, ხოლო ბებერი კონტინენტი ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს. ფულს ვერ მიიღებენ იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომელთა ფედერაციები ახალ შეთანხმებას იღებენ. ცხადია, ამის შემდეგ რუსულ-ჩეხურ ალიანსსა და დანარჩენებს შორის ურთიერთობა გამწვავდება.

არის კიდევ ერთი ნიუანსი. ნჰლ-სა და მოთამაშეთა ასოციაციის ხალ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პროფესიონალების ოლიმპიადაში მონაწილეობა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე არაფერია ნათქვამი. გამომდინარე აქედან, სავსებით შესაძლებელია, რომ ნჰლ-ის კლუბებმა, მათ შორის მათაც, რომლებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ, ევროპელი ჰოკეისტები მსოფლიოს პირველობაზე არ გაუშვან, რაც ჩემპიონატს გააფუჭებს.

გაუგებარია, რისი იმედი აქვთ რუსებს და ჩეხებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული კლუბების შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა, ამ ქვეყნიდან ნიჭიერი ახალგაზრდები მაინც გარბიან ნჰლ-ში და ამ პროცესს ვერაფერი შეაჩერებს. რაც შეეხება კონფლიქტების სასამართლოს მეშვეობით მოგვარებას, რუსების პოზიცია აქაც წამგებიანია. სანამ ქვეყანაში არ იქნება კანონი პროფესიული სპორტის შესახებ, ნებისმიერი კვალიფიციური ადვოკატი დაამტკიცებს, რომ ჰოკეისტის მიერ კონტრაქტის დარღვევა სხვა არაფერია, თუ არა უბრალოდ, სამსახურიდან წასვლა, რის უფლებასაც ვერავინ შეუზღუდავს.

AFP მოსკოვიდან



# გომელსკის დაკრძალვა

*დიდი რუსი საკალათბურთო მწვრთნელის ალექსანდრ იაკოვლევიჩ გომელსკის დაკრძალვაზე საბჭოთის დროინდელი ლეგენდარული მოთამაშეები შეყრილან: მარჩულიონისი, სოკი, ტარაკანოვი, ვოლკოვი, საბონისი, ხომიჩუსი... გომელსკი, მოგეხსენებათ, ცსკა-ს მწვრთნელი იყო და ჯარმაც ამიტომ მიაგო პატივი.*



AFP მოსკოვიდან

# კორკისაკენ

და ისევ 36-ე Solitarie du Figaro, მარშრუტით ბილბაო—ლა როშელი—კორკი. იახტები უკვე საფრანგეთის ჩრდილოეთში გახლავან და ლა როშელიდან გავიდნენ. მათ შორისაა, აი, ეს ლამაზი იახტა, რომელსაც ფრანგი ნაოსანი კიტო დე პავანტი მართავს.



AFP კორკიდან



AFP ამსტერდამიდან

# მახოხეო თუ რაღაც...

*ამ დღეებში ამსტერდამში იმდენ თვალსასეირო სანაოსნო რამე-რუმეს ნახავთ, თქვენი მოწონებული. თვითნაკეთი ჭურჭელ-მურჭელის გამოფენა თურმე ტრადიციული „პიერემახოხელტოხტის" ნაწილია, ხოლო „პიერემახოხელტოხტი" „აფრა 2005"-ში შედის. რაც შეეხება პატარა გოგოს, ის არც დაკარგულა და არც ცისფერპერანგაა, უბრალოდ, მზეს ეფიცხება და მაღალ გემებს ათვალიერებს.*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ანანიაშვილი, ოლეგ ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარეჯანია, გიორგი კაზაკოძე, სოსო კუტურეიშვილი, ლელი ხინჯიკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბულაძე, ლევან კილაძე, თამარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჩელაა, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge